საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზინდისი

ზინდისი, ისტორიული სოფელი შიდა ქართლში, სურამისწყლის ხეობაში. იხსენიება დოროთეოს კათოლიკოსის იტრიის ეკლესიისადმი 1584 შეწირულების სიგელში. ზ. იტრიის ეკლესიამ თავდაპირველად ქართლის მეფე გიორგი IX-საგან იყიდა, შემდეგ კი სიმონ I-მა საკუთრებად დაუმტკიცა. ზ-ში ცხოვრობდნენ ჯინგარაძეები, მახარაძეები და ჯონჭორაულები. ზ. გვიანდ. შუასაუკუნეების ადმ.-ტერიტ. დაყოფით შედიოდა ზემო ქართლის სადროშოში. ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ზ-ს „შინდისის" ფორმით იხსენიებს. ზ. XIX ს. ბოლოს გორის მაზრის სურამის საპოლიციო უბნის იტრიის სასოფლო საზ-ბაში შედიოდა. 1930, მაზრების გაუქმების შემდეგ, ზ. ხაშურის რაიონში შევიდა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წგ. 1, თბ., 1964; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის *გამოც.*, ტ. 3, თბ., 1970.

ზ. ცინცაძე